საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

წერილის ნომერი: **65-0121265527**
თარიღი: **22/09/2021**
პინი: **9094**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს მეგარონ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205008882
მისამართი: რ. აგლაძის ქ. #15

შპს ,,მეგარონის'' დირექტორს ალექსი ბუზოღლის

ბატონო ალექსი,

თქვენი 2021 წლის 13 სექტემბრის # 24/09 წერილის (ბოტანიკურ ბაღში რეგისტრაციის # 10/0121258138-65; 15.09.2021) პასუხად გიგზავნით ქ. თბილისში, რაფაელ აგლაძის ქ. # 15 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.13.05.011.025) მდებარე 2 ერთეული მწვანე ნარგავის თაობაზე ბოტანიკური ბაღის ექსპერტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (იხ. დანართი).

ირინე დანელია

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ცხადებელი: შპს მეგარონ

ს/ნ: 205008882


მისამართი: ქ. თბილისი, რაფაელ აგლაძის ქ. # 15


საკადასტრო კოდი: 01.13.05.011.025

#1 კანადური ვერხვი - Populus deltoides - ხმობადი

მთავარ ღეროზე ფიქსირდება 1მ-ის სიმაღლის ღია ღრმა ფუღუროო, რომელიც დაინფიცირებულია მერქნის დამშლელი/გამხრწნელი ბაზიდიუმიანი სოკოებით - ბაზიდიომიცეტებით (Basidiomycetes). მთავარი ღერო ფესვის ყელიდან მთელ სიგრძეზე საკმაოდ დაზიანებულია მავნებლის - ვერხვის დიდი ხარაბუზას - Saperda carcharias ნაღრღნით.

ვარჯში ღეროების 50% ჩამოტეხილია, ხოლო დანარჩენი ღეროები მტვრევადი და დაავადებულია ვერხვის ღეროების ხმობის გამომწვევი სოკოს - *Cryptodiaporthe populea* ღია ყავისფერი, ჩაზნექილი მეჭეჭების ფორმის ნაყოფსხეულებით.






რეკომენდაციები: შესწავლილი ეგზემპლარი ხნოვანი და ხმობადია. დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე იგი ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. მკურნალობას არ ექვემდებარება.

5 ვერხვი - Populus x canescens - დაავადებული

მთავარ ღეროზე ფესვის ყელის ირგვლივ მიწის პირიდან 20 სმ-ის სიმაღლეზე როგორც ქერქი, ისე ქერქის ქვეშ მერქანი დაზიანებულია მავნებლის - ვერხვის დიდი ხარაბუზას - Saperda carcharias სასვლელებით, ნაღრღნით და დაინფიცირებულია ლპობის გამომწვევი აბედა სოკოს ოჯახების - *Telephoraceae* (ტელეპოროვანი) და *Polyporaceae* (პოლიპოროვანი) წარმომადგენლებით, რომლებიც დროთა განმავლობაში გამოიწვევს მცენარის დასუსტებას და ხმობას.





რეკომენდაციები: შესწავლილი ეგზემპლარი ექვემდებარება მკურნალობას. დაზიანებული და დაინფიცირებული ადგილები მექანიკურად გასუფთავდეს სალ ადგილამდე შეძლებისდაგვარად. ჩაუტარდეს - დეზინფექცია მავნებლების და სოკოების ლიკვიდაციის მიზნით ინსექტიციდით, რომლის მომქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ქლორპირიფოსი და ფუნგიციდით, რომლის მომქმედ ნივთიერებას წარმოადგენს მეფენოქსამი+სპილენძის ჰიდროჟანგი. დამუშავებული ადგილები ამოვსებული იქნას საგოზავით, რომელიც წარმოადგენს თანაბარი რაოდენობის ცემენტს, ჩაუმქრალ კირს და თიხა მიწის ნარევს.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკურის ბაღის
მერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილების
მცენარეთა დაცვის ლაბორატორიის გამგე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი

ქეთევან თავართქილაძე
თარიღი: 22.09.2021